პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N

-- მარტი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართვლობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მობილური ტელეფონით სასაუბრო ყოველთვიური ლიმიტი, შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 70 (სამოცდაათი) ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები - 60 (სამოცი) ლარი;

გ) საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

2. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მობილური ტელეფონით სასაუბროს დარიცხვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ” ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის Nგ-15.15222007 განკარგულება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 01 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: ივანე მაისურაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

,, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

საკრებულოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მიიღება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე